№ 177
ხუთშაბათი 19 აგვისტო, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 177
ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბრის ბირჟასთან.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანც'ს, ტფილისს. (24—19)

### ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა

სთხოვს იმათ, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ქართულ თეატრში 29 ამა აგვისტოს, როდესაც მათ დაურიგდებათ როლები და ამავე დღიდგან დაინიშნება რეპეტიციები. (5—უ.—1)

### „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა"

ამით აცხადებს, რომ ვისაც **სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ადგილის დაჭერა სურს** (ოთხი ადგილია), იმან უნდა 25 აგვისტომდე წარუდგინოს სკოლის გამგეს თ. მთავრიშვილს ქ. ქუთაისში მოწმობა, თუ სად მიუღია სწავლა და სად უმსახურნია.

თხოვნების შეტანა მოსწავლეების მისაღებად შეიძლება 26 აგვისტოდან 31-ამდის. განმეორებითი ეგზამენებიც ამ დროს მოხდება. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—უ.—2)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** 17 აგვისტოს ჩამოვიდა კოჯორიდგან ტფილისს კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტ. ა. ა. ფრეზე.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლკ. ი. ნ. სვეჩინი დაბრუნდა ტფილისში და იღებს მთხოვნელთ კანცელარიაში ჭავჭავაძის ქუჩაზედ.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი დაბრუნდება ტფილისში 25 აგვისტოს.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა უკომისიოდ იქმნას გაწერილი სატრაქტირო გარდასახადი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი დაბრუნდება ტფილისში 30 აგვისტოს.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა სთხოვა ბ-ნს გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ქალაქის გამგეობამ არ გასცეს ადგილები იარმუკაში სავაჭრო ფარდულების გასამართავადაო.

*** მომავალ კვირაში მოხდება ტფილისში ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა კრება.

*** ამ წლის შემოდგომაზედ მთავრობა განიხილავს რამდენსამე შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ კავკასიისა და ამიერ-კავკასიის დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში შემოღებულ იქმნას შემოკლებული საქალაქო დებულება.

*** გუბერნიის მმართველმა ამ დღეებში წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელს, ცნობები მომაწოდეთ იმის შესახებ, თუ ვინ შეჰკრიბა ფული ხოლერასთან საბრძოლველად და მხოლოდ ეხლა რად გარდაეცა ეს ფული ქალაქის გამგეობას ზანდუკელის-მიეროო.

*** ტფილისის სომეხთა ფეთხაინის ეკკლესიის გვერდით არის ერთი ძველი შენობა, ქართველთა კერპთ თაყვანის ცემის სალოცავი, რომელსაც ძველად თვით ქართველთ მეფენიც კი ჰფარველობდნენ და მის შემუსვრის ნებას არავის აძლევდნენ. სა-

## ფელეტონი

### ძველის ნუგეში

(სცენა)

(შემდეგი *)

გამოსვლა მეორე

თეკლე და ათინა

თეკლე. (შემობრუნდება გაჯავრებული) ეგ შეჩვენებული, ეგა; იმდენი იხითხითა და ილაზღანდარა, რომ უთუოდ გამოაღვიძებდა საცოდავს ბავშვს... აბა ერთი შევიჭვრიტო მის ოთახში. (მიდის ზურაბის ოთახის კარებისკენ და შეეფეთება ათინას). ათინა! ეს კიდევ რა ღვთის ცეცხლია! რას ატუზულხარ აქ, ქალო?

ათინა. ზურაბს ვუჭვრეტ, ვენაცვალე...

თეკლე. (გააჯავრებს) ზურაბს ვუჭვრეტ! ძალიან ცუდად შვრები, რომ უჭვრეტ, ჩემო თვალის სინათლევ!.. ისა სჯობია, რომ კარებს არ უმტვრევდე საცოდავს ბავშვს და გამოძინებას აცლიდე!.. ხომ იცი, რომ დაქანცულია!

ათინა. სულმა არ მომითმინა, გენაცვალე, ქალბატონო... სულ ჩუმად შამოვიპარე აქ და დავიწყე ჭვრეტა... ვენაცვალე ზურაბს,—ის იყო გამოიღვიძა, ერთი გაიწოდინა, მერე თვალების ფშვნეტა დაიწყო; მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დასძლია ძილმა და ხვრინი ამოუშვა... (იჭვრიტება კარებში).

თეკლე. (გაჯავრებული კაბაზედ მოსწევს) კარგი მეთქი, ადამიანო, აცალე ძილი ბავშვს!.. აქეთ წამოდი!..

ათინა. ღმერთმანი, ვერ მომითმენია, ქალბატონო... ღმერთმა ჩემი ზურაბის მშვიდობით მოსვლა მაღირსა და შენ-კი მის ცქერას მიშლი... ცოდვაა, ქალბატონო. (ცრემლებს იწმენდს).

თეკლე. მე-კი განა შენზე ნაკლებ მიყვარს ზურაბი, რომ კარებს არ ვუმტვრევ?!

ათინა. ეჰ, ქალბატონო, ძიძის გრძნობა სულ სხვაა; ძიძას დიდი ამაგი მიუძღვის გაზრდილთან...

თეკლე. ხა! ხა! ხა! იქნება შენ ჩემზე მეტი ზურაბის სიყვარულიც დაიჩემო! იქნება შენ ისიც სთქვა,—მე ზურაბთან დედაზედ მეტი ამაგი მამიძღვისო!

ათინა. ვიტყვი, ქალბატონო, რატომ არ უნდა ვთქვა, თუ-კი სიმართლე მაქვს! ჩემი ამაგი ღმერთმაც იცის და კაცმაც!.. მე ზურაბი შენზედ ნაკლებ არ მიყვარს!..

თეკლე. ხა! ხა! ხა! აკი ვთქვი დაიჩემებს-მეთქი! (დაუტკბება) არა, ჩემო თვალის სინათლევ, ღმერთი უნდა გახსოვდეს, როდესაც ლაპარაკობ... მე შენი წყენა არ მინდა, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მართალი-კი უნდა სთქვა... ხომ გაგიგონია ხალხში დედის ნათქვამი:

„ვუით გშობე, ვაით გზარდე...
შვილო, რა გასაკვირია,
სხვაზე მეტად რომ მიყვარდე!"

ხომ გესმის: „ვუით გშობეო"... ცხრა თვე მუცლით მიტარებია ჩემი ზურაბი, ენაცვალოს დედა-მისი!

ათინა. შენ მუცლით გიტარებია და მე-კი ჩემი ძუძუთი გამომიზრდია, ტანჯვით და განსაცდელით!.. ეჰ, ქალბატონო, სიმართლე არ უნდა დამიკარგო, ცოდვაა...

თეკლე. უკაცრავად, მარტო შენ არ გაგიზრდია ზურაბი: სრული სამოცდა-ათი დღე მეც ვაწოვე ძუძუ!..

ათინა. ევრიჰაა, სამოცდა-ათიო! არც ოცდა-ათი, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს! ქალბატონო, როგორ გეკადრება ამისთანა სიცრუვე!

თეკლე. სამოცდა-ათი, სული არ წამიწყდეს! მეტი, თორემ ნაკლები არა!.. ეგ მე კარგად მახსოვს!..

ათინა. არც ოცდა ათი, ქალბატონო, შენ გეფიცავ!.. ეგ მე ხელის გულზედ მიწერია... ათას ჯვარზე და ხატზე დავიფიცავ...

თეკლე. ათასი ჯვარი და ხატი გაუწყრეს, ვინაც სტყუოდეს! ეხლა ხომ დაიჯერებ! სამოცდა-ათი!

ათინა. (შიშით) ვუი. ღმერთო-კი მომკალი! ქალბატონო, შენ გენაცვალე, სულს რად იწყმედ?! ტუჩზე დაიკარი ხელი,—ღმერთო, შემინდე, შენი მონა ვარ, შეგცოდე-თქო!.. როგორ შეიძლება სიცრუვეზე ამისთანა საშინელი ფიცი!

თეკლე. (შესაბრალისის ხმით). ოჰ, ღმერთო ჩემო! ათინა, შენ დღეს მოწადინებული ხარ, რომ გულზე გამხეთქო!.. ღმერთი გარდაგიხდის... ათინა. ცოდვაა, ქალბატონო, სიმართლე არ უნდა დაუკარგო ადამიანს... (სიჩუმე) ეჰეჰეჰე, გამიზრდია და მერე რა ტანჯვით და ვაივაგლახით! ძალიან ჭირვეული რამ იყო ზურაბი ბავშობის დროს: ვენაცვალე, ღამე ორმოცჯერ მაინც გამოიღვიძებდა და ძუძუს მოითხოვდა. თუ გულს რასმეზე მოიყვანდა, უსათუოდ ძუძუზე მიკბენდა, ისე მწარედ მიკბენდა, რომ ამაკივლებდა... მუდამ დალილავებული მქონდა ძუძუები იმის მიზეზით... თუმცა ამისთანა ძნელი საზარდი იყო, მაგრამ, ღმერთმა-კი იცის, ჩემს პირს თავის დღეში ერთი უშვერი სიტყვა არ წამოცდენია ზურაბის შესახებ... ცემა ან წყევლა რას ჰქვია! შენ-კი, გენაცვალე ქალბატონო, მაგას ვერ იტყვი.. ხშირად სცემდი ზურაბს და სწყევლიდი კიდეც...

თეკლე. (შემოიკრავს ლოყაზედ ხელს) ვუიმე, დამიდგეს თვალები! მე ვსწყევლიდი ზურაბს! ათინა, სულს ნუ წაიწყმედ მაგისთანა სიცრუვით!. მიცემნია,—ეგ კი მართალია... სიყვარულით მიცემნია; ჩემო თვალის სინათლევ!.. განა ბავშვი უცემრად გაიზრდება?!

ათინა. ბევრჯერაც დაგიწყევლია მწარედ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ქალბატონო!

თეკლე. (შესაბრალისის ხმით). ათინა, გევედრები ნუ მტანჯავ! მე და ზურაბის წყევლა! ღმერთო ჩემო! გამოსახედავ თვალს მირჩევნია ჩემი სასოება ზურაბი, მის სახელს ვიფიცავ ყოველს წამში და შენ კი...

ათინა. საქმეც ის არის, ქალბატონო, რომ ხშირად სიცრუვეზედაც იფიცავ ზურაბის სახელს... მე კი თავის დღეში არა...

თეკლე. აბა რას ამბობ, ათინა, ენა არ გამიხმება მაშინვე, რომ „ჩემი ზურაბი სიცრუვეზე დავიფიცო! არა ჩემო თვალის სინათლევ, შენ ჩემი ტანჯვა გინდა! (სტირის)

ათინა. სიმართლეს არ უნდა შეუშინდეს ადამიანი...

თეკლე. (მტირალის ხმით) მაშ მე არ მყვარებია ჩემი სასოება შვილი! შენ გინდა, ჩემო ათინა, ჩემი თავი შეაძულო ზურაბს... ხომ ეგრე ეტყვი, დედაშენი სიცრუვეზე გიფიცებსო? ხომ? (სტირის) ღმერთს უნდა შეხედო, ათინა, დედა ვარ მშობელი...

ათინა. მაშინ ენა გამიხმება, რომ შვილს დედის საყვედური ჩავაწვეთო ყურში!.. ეგ რა შენი საკადრისია, ქალბატონო!.. მაგრამ შენც ნუ ეტყვი ზურაბს ძიძის ძვირს... ცოდვა ვარ, ქალბატონო, ცოდვა... (სტირის) ღმერთმა რუსეთიდგან მისი მშვიდობით ჩამოსვლა მაღირსა!... მინდა ვუცქირო ცოტა ხანს... ჩემთვის ეს დიდი ნუგეშია... მეტს მე ზურაბს არაფერს ვსთხოვ, მხოლოდ მაცქერინოს მისთვის... ამდენს ხანს სიღარიბეში მიცხოვრია, აწიც ისე ვიცხოვრებ: ერთი ლატაკი ქოხი მაქვს და ლუკმა ბურსაც ვიშოვი. თუ ჩემი საცოდავი ქმარი ცოცხალი მეყოლა.. მე ზურაბს არაფრით შე-

*) იხ. „ივერია" № 176.

ნატრულია, რომ ეს ძველის-ძველი ნაშთი ჩვენის კერძო თაყვანის მცემლობისა დაცულ იქმნას და შენახულ არამც თუ კერძო კაცთა, არამედ თვით ქალაქის თვით-მმართველობისაგან.

*** ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ განუმარტა ქუთაისის გუბერნიის მაზრის უფროსთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა კერძო კაცის მიწა იმიჯნება, მუშები ორმოების სათხრელად, მიწის დასახვავებლად და სხ. და აგრეთვე ცხენ-ურემი, უნდა წარუდგინონ მიწის-მზომელთ გლეხებმა-კი არა, არამედ გასამიჯნავ ანუ მომიჯნავე მიწების პატრონებმა, წოდების განურჩევლად, რომელნიც ამ მოვალეობის აუსრულებლობისათვის პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი. ხოლო მარტო გლეხთა მოვალეობას ამ ბეგარის ასრულება შეადგენს მხოლოდ ცალიერ და დაუსახლებელ სახელმწიფო მიწების გამიჯვნის დროს; ასეთ შემთხვევაში სამუშაოდ უნდა გამოვიდნენ გასამიჯნავ მიწების მომიჯნავე სოფლების გლეხები. რაც შეეხება ბინებს, ეს ბეგარა უნდა მოიხადოს განურჩევლად ყველა მცხოვრებმა გასამიჯნავ ანუ მომიჯნავე ადგილებისამ, ზოგიერთ კაცთა დ დაწესებულებათა გარდა. ბინები უნდა მიეცეთ მხოლოდ მიწისმზომელთ დ მათთან სამუშაოდ დანიშნულ კაცთ. მიწის მზომელთ უფლება არა აქვთ თავისის არჩევით მოითხოვონ ბინა და უნდა იკმარონ ის ბინები, რომელიც მიეცემა მათ ადგილობრივის მთავრობის განკარგულებით. ხოლო მათ ოჯახებს-კი და აგრეთვე საკუთარ მსახურთ კანონის ძალით არ ეძლევათ მუქთი ბინა. დასასრულ მიწის მზომელთ უფლება არ აქვთ უსასყიდლოდ მოითხოვონ შეშა, ანუ ლოგინი.

*** „ახ. მიმ."-ს სოხუმიდგან სწერენ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის გამგეობის მსახურთა შტატის შედგენისა, მათთვის ჯამაგირების დანიშვნისა და აგრეთვე გამგეობის მოსაწყობად 1,000 მანეთის გადადების შესახებ შეცვლილ იქმნა ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს-მიერ ამ რიგად: ბუჰგალტერს წლიურ ჯამაგირად უნდა დაენიშნოს 900 მანეთის მაგივრად 700 მან.; ორის უფროს მწერლის მაგივრად, რომელთაგან ერთს 480 მან., ხოლო მეორეს—380 მან. ჰქონდათ დანიშნული, უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი, რომელსაც ჯამაგირად ექნება 300 მანეთი წელიწადში, ორ უმცროს მწერალს 600 მანეთის მაგივრად უნდა დაენიშნოთ 480 მან.; ორს დარაჯს 480 მაგივრად—360 მან.; გამგეობის მოსაწყობად 1000 მან. მაგივრად უნდა გადადებულ იქმნას 800 მან.

*** ოზურგეთიდგან „ახ. მიმ."-ს ატყობინებენ, რომ ბასილეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდების პროექტი უკვე საბოლოოდ იქმნა შემუშავებული და კიდეც წარედგინა განსახილველად ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას.

*** იმავე გაზეთს ბათუმიდგან სწერენ, რომ სოფ. ფურთიოს მცხოვრები ილიას დურსუნი, რომელიც ამ ბოლო წლებში შიშის ზარსა ჰგვრიდა მთელს ზემო აჭარას, შეპყრობილ და დატუსაღებულ იქმნა. როგორც ისმის, სათანადო მთავრობა შუამდგომლობს, რომ დურსუნი სამხედრო სასამართლოს გარდაეცეს გასასამართლებლად.

*** დუშეთის მაზრა. ყოველ წლობით, 15 ს აგვისტოს, მრავალი ხალხი იკრიბება, ეგრედ წოდებულის, წმინდა სამების მთაზედ, სადაც აშენებულია ღვთის მშობლის მიძინების სახელზედ ეკკლესია. წრეულსაც მოიყარა თავი სალოცავად და საქეიფოდ მოსულმა ხალხმა, მაგრამ ჩვეულებრივზედ-კი გაცილებით ცოტამ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ამ ორის წლის განმავლობაში სეტყვისგან მოსავლის დაზიანებაა. თუმცა ხალხი ცოტა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეობამ მშვიდობიანად მაინც ვერ ჩაიარა. როცა ცეკვა თამაში გაიმართა და ვიღაც შეზარხოშებულები გატენილს თოფს ხელში ატრიალებდნენ, ერთს მათგანს თოფი უცებ გაუვარდა, ტყვია მოხვდა ტელეგრაფის მოხელეს პაიჭაძეს და საბრალომ იქვე სული განუტევა.

აქაურს სოფლებში ციებ-ცხელება და სხვა ავადმყოფობა ძალიან გავრცელებულია, მაგრამ მშველელი კი არავინ არის, მაზრის ექიმი, ძალიანაც რომ ეცადოს, ვერ აუვა ყველა გაჭირვებულსა; სასოფლო სამკურნალო და სოფლის მკურნალი გადაკარგულია ქსნის ხეობაზედ, ახალგორში. ეს მხარე ისეა მოწყვეტილი მაზრის დანარჩენს კუთხეებს, რომ თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში არა, სხვა დროს არ შეუძლიანთ ვისიმე შველა ქსნის ხეობის გარეთ.

*** ცხენის რკინის გზის სადგურებზედ—ერევნის ქუჩაზედ, მუშტაიდთან და რკინის გზის სადგურთან—ამ ბოლო დროს ძალიან გამრავლდნენ ჯიბგირები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ მგზავრთ. როგორც ამბობენ, 50-მდე ჯიბგირს ამხანაგობა შეუდგენიათ და ერთის გეგმით ჰმოქმედებენ. ამ უკანასკნელ ორ დღეში ჯიბგირებს სამი ოთხი მგზავრი გაუქურდნიათ, რომელთა შორის ერთისათვის 75 მან. ამოუცლიათ ჯიბიდგან. ჯიბგირების თავ-გასულობას იქამდე მიუღწევია, რომ პირდაპირ ცხენის რკინის გზის სადგურთა უფროსების თვალ-წინ თურმე ჰქურდობენ.

*** 17 აგვისტოს, საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე, უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზის მეეტლემ იოსებ მურუყუნელმა მტრობისა გამო ჯიბის დანით დასჭრა იმავე გზის კონდუქტორი ილიკო თვალიაშვილი ხელში და მეეტლე ალექსანდრე სიდამონიძე—მარჯვენა გვერდში. დაშავებულნი მიხეილის საავადმყოფოში იქმნენ გაგზავნილნი. დამნაშავე შეპყრობილია.

*** გუშინ-წინ, 17 აგვისტოს, ღამის 11 საათზედ, ინჟენერის ქუჩაზედ პოლიციელმა იპოვნა მიგდებული 3—4 კვირის ყმაწვილი მამათა სქესისა. ყმაწვილი საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 17 აგვისტოს გოლოვინის პროსპექტზედ ახალქალაქის მოქალაქემ ინჯიგოვმა სამაჯური მოსტაცა ჯიბიდგან ტფილისის მოქალაქეს გიგო ქიანაშვილს, რომელსაც ეს სამაჯური თავისის საცოლესათვის ეყიდნა საჩუქრად, და მოჰკურცხლა, მაგრამ ინჯიგოვი შეიპყრეს და ქიანაშვილთან ერთად წარადგინეს პოლიციაში, სადაც შემდეგი სასაცილო სცენა გაიმართა. ქიანაშვილი საშინლად აღელდა და განაცხადა, არა მცალიან, საცოლესთან მიმეჩქარება, რომელიც ჩემგან საქორწილო საჩუქარს მიელის, და მე-კი აქ პოლიციაში მაყურყუტებთო. მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა ის, როცა უთხრეს, შენი სამაჯური, როგორც ნივთიერი საბუთი, მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გავუგზავნოთო.—აი, ხათაბალა!—შეჰღრიალა მან ბოქაულს, მომეცი, გეთაყვა, რაღა უნდა მიუტანო საცოლეს, სამაჯური რომ სასამართლოში გაჰგზავნოო. სასიძოს თხოვნა, რასაკვირველია, შეიწყნარეს, სამაჯური ხელწერილით დაუბრუნეს და ისიც დამშვიდებული შინისაკენ გაეშურა. („ტფ. ფ.").

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქვემო-ნიქოზი,** (გორის მაზრა). აქაური ხალხის ცხოვრების უმთავრესი სახსარი პურია. სამწუხაროდ, პურის მოსავალი ამ წინა წლებში ვერ იყო ხეირიანი და გლეხ-კაცობამ ბევრი გაჭირვება გამოიარა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, წელს-კი პურის გამოსავალს გლეხნი არ ემდურიან. მიზეზი წლევანდელი ხეირიანი მოსავლისა ის არის, რომ სეტყვა—ეს სოფლის მეურნეობის სრულიად გამანადგურებელი რისხვა—ასცდა ქვემო-ნიქოზს და ამიტომაც ჭირნახულიც; ვენახებიც და ხეხილიც გადურჩა განადგურებას.

პურები კაი ხანია დაიმკო აქ; კალოობაც აგერ ერთი თვეა, რაც დაიწყო და ჯერაც არ გათავებულა.

აქაურებს პური გასასყიდად გააქვთ ხოლმე ცხინვალის, გორის და ზოგჯერ ტფილისის ბაზარში. სოფელს, მკისა და კალოობის დროს, ესტუმრებიან ხოლმე ცხინვალიდგან ურიები და გორიდგან სომხები და ცდილობენ ჩალის ფასად ხელში ჩაიგდონ ჭირნახული.

ქვემო-ნიქოზში ხარობს ყოველ-გვარი ხილი, ლეღვს გარდა. ნამეტურ განთქმულია აქაური მსხალი, ვაშლი და ალუბალი. ყოვლად უსამღვდელოესს, ალავერდის ეპისკოპოსს კირიონს, თავისს ერის კაცობაში მყოფობის დროს, გაუშენებია აქ შესანიშნავი ბაღი, სადაც შეხვდებით უცხოეთიდგან გამოწერილს ხეხილებს: მსხალს, ვაშლს, ბალს, ატამს, ქლიავს და სხვ. ამ ბაღიდგან ნერგები და თესლები სხვებსაც

---

ვაწუხებ. ოღონდ მაცქერინოს მისთვის და თვითონ მშვიდობით იყოს.

თეკლე. ეჰ, ბეჩავო ათინა, ჩვენ აქ ერთმანეთს ვაკვდებით და ის კი არ იცი, რომ ზურაბს ერთი ფროსიკოს ფრჩხილი ორთავეს თავს ურჩევნია..

ათინა. ჭეშმარიტია, ქალბატონო... ნათქვამია: „დედა მიყვარს, მამა მიყვარს, ერთი ვინმე უცხოს შვილი ორთავესა მირჩევნია"... დღეს თუ ხვალ, ვენაცვალე, ზურაბი ფროსიკოზე ჯვარს დაიწერს... (აღაპყრობს ხელებს) ღმერთო, წმინდა გიორგი, მიქელ-გაბრიელ-მთავარ-ანგელოზო, შენ მომასწარ ჩემი ზურაბის და ფროსიკოს გვირგვინს... (სიცილით) ლეკურს დავუვლი, ქალბატონო, ლეკურს ზურაბის ქორწილში!..

თეკლე. (სიცილით მხარზე ხელს უბათქუნებს) ჭკუაზე არ შეცდე, შე საწყალო, ნამეტანი სიხარულით!

ათინა. ვენაცვალე ფროსიკოს, ნეტავი რისთვის დაიგვიანა ეგრე ამ დილას? რისთვის არ მოდის ზურაბის სანახავად? უთუოდ დარცხვენილია...

თეკლე. დარცხვენილი რომელია? ფროსიკო აქ არ არის, თორემ ამდენს ხანს ათასჯერ მოირბენდა... ქალაქს წაიყვანა გარსევანმა... დღეს მეოთხე დღეა, რაც წასული არიან, —რაღაც სკოლის საქმე ჰქონიათ..

ათინა. ვუი, დამიდგეს თვალები, მე არც კი ვიცოდი იმათი წასვლა...

თეკლე. საბრალო ფროსიკო, მეშინიან ჭკუაზე არ შეცდეს სიხარულით, ზურაბის მოსვლას რომ გაიგებს... ძალიან დაიტანჯა საცოდავი ფროსიკო... ხუმრობაა, ამდენი წელიწადი ითმენდა და უცდიდა ზურაბს... სიყვარული და ცდა! ოოო, ვინ იცის ეგ რა განსაცდელია!.. კიდეც გახდა და ცოტათი ჩამოსჭკნა ამ ბოლოს დროს საცოდავი ფროსიკო...

ათინა. არა უშავს რა, სამაგიეროდ ეხლა გაიხარებს და აყვავდება, ვენაცვალე იმას... დოხტურის ცოლი გახდება და ყელამდის აივსება ყველაფრით...

თეკლე. ეჰ, ათინა, ეგ შეჩვენებული ფარსადანის ვალი მიწამლავს სიცოცხლეს... რომ მომაგონდება, ჟრუანტელი გამივლის მთელს ტანში.

ათინა. ღმერთია მოწყალე, ქალბატონო; თუ ცოცხალი იქმნა ზურაბი, იმ ასი თუმნის გარდახდა არ გაუჭირდება... დოხტურია და ფულს ბევრს შეიძენს..

თეკლე. არ გაუჭირდება, ათინა, მაგრამ ცოდვაა... ჯერ ბავშვია და იქნება გული ეტკინოს, როდესაც შეიტყობს, ჩემს ოჯახს მოვალეები ჰყოლიაო... ღმერთმანი, არც-კი ვიცი როგორ მოვახერხო თქმა... ოოო, შეჩვენებულო ფარსადან, როდის მოვიცილებ შენს უღელს!..

ათინა. ქალბატონო, გენაცვალე, მოდი ერთი კიდევ შევიჭვრეტ (მიდის ზურაბის ოთახის კარებისკენ).

თეკლე. სუუ, გამოიღვიძებს, ქალო, აქეთ წამოდი!

ათინა. ჩუმად შევიჭვრეტ, გენაცვალე ქალბატონო, ჩუმად...

თეკლე. მაშ მეც, მეც .. (მიდიან კარებისკენ და არ აცლიან ერთმანეთს ჭვრეტას. შორიდგან მოისმის ქართული სიმღერა)

თეკლე და ათინა. (ერთხმად) სუუ, სიმღერა ისმის!..

თეკლე. გარსევანის და ფროსიკოს სკოლაში მღერიან ბავშვები...უთუოდ მოსულან ქალაქიდგან გარსევანი და ფროსიკო... ეგ შეჩვენებული ბავშვები სიმღერით ზურაბს გამოაღვიძებენ..

ათინა. კიდეც იამება, გენაცვალე ქალბატონო, ზურაბს ეგ სიმღერა,—ძილში ტკბილად ჩაესმის... ხომ გახსოვს, როგორ უყვარდა თვითონაც ბავშვობისას მღერა.

(შორიდგან მოისმის ავადმყოფების კვნესა წუწუნი. კარებში გამოჩნდება კვირიკა, რომელიც უყვირის ავადმყოფებს „დაიცადეთ-მეთქი, თქვე ოჯახ-დაქცეულებო, ჯერ არ გაუღვიძნია ყმაწვილს, დაქანცულია... მოთმინებიდამ ნუ გამომიყვანთ, თორემ ხი კეტი!". (კეტს იქნევს).

ავადმყოფების ხმა. („შენს ღმერთს მიამადლე კვირიკა, შეგვიშვი, ქალბატონს შეგვაგდრე, რომ გვიჩვენოს დოხტური,—გიხოცებით!").

### გამოსვლა მესამე

იგინივე და კვირიკა

კვირიკა. (შემოდის კეტით ხელში. მაღალ-ყელიანი წაღები და ძალზედ გახუნებული ჩოხა აცვია, თავზე რუსული ქუდი ჰხურავს) აი, ნამდვილი ხათაბალა თუ გინდა, ეგ არის!

თეკლე და ათინა. (ერთხმად) სუ, სუ, კვირიკა, შე ჩასაქვავებელო, სძინავს!..

კვირიკა. შეხედე, ქალბატონო, შენ გენაცვალე, რა ამბავია შენს ეზოში! თუ სადმე ავადმყოფი იყო, ყველა აქ შეკრებილა... ნამდვილი ალა მაჰმად-ხანის ჯარია, ჩემმა მზემ!.. წარღვნაა, ქალბატონო, წარღვნა! ხე-ხე-ხე!..

თეკლე. (აღაპყრობს ხელს) ღმერთო, შენ შეეწიე ჩემს ზურაბს, კარგი ხელის ჰქენ მისი წამლობა, მოარჩინე საცოდავი ავადმყოფები!

კვირიკა. მერე ეს ამოდენა ჯარი ხელ-ცარიელი-კი არ მოსულა, ყველა ავადმყოფს ხელში უჭირავს დოხტურისათვის ყვერული, ან ინდაური, ან ბატი, ან გოჭი, გამომცხვარი პურები, ყველი, კვერცხი... მობრუნდა, ქალბატონო, ოჯახი, მოიკეცე მუხლები და შეექეცი სხვა-დასხვა საჭმელებს... ხე-ხე-ხე!.. გაგვითენდა აღდგომა!.. დაევსო ჩვენს მტრებს თვალები... ხე-ხე-ხე!..

თეკლე. ღმერთო, შენ მომასწარი ზურაბის დიდებას და გვირგვინს!..

კვირიკა. (ათინას) შენ, დედაკაცო, აქ რას უგდიხარ?

თეკლე და ათინა. სუ-სუ, კვირიკა, ნუ არახუნებ, შე წყეულო, მაგ წაღებს!

კვირიკა. (შეუტევს) სუ რომელია? თვითონ თქვენ სუ! გაბრძანდით აქედგან! ზურაბი ჩემია! ჩემი გაზრდილია! ვერ მოგართვით! ხე-ხე-ხე!.. ჩემი მხრით მიტარებია, აი ამ მხრით!.. მოელო ბოლო თქვენს ბატონობასაც!.. აწი-კი უკაცრავად, ვერ მათრევთ ისე, როგორც გითრევივართ... მე თვითონ ვარ ეხლა ბატონი, ზურაბმა პენცია უნდა გამიჩინოს ამდენი სამსახურისათვის... მაშ როგორ გეგონათ თქვენ! ხე ხე-ხე!.. სიზმარშიაც ვნახე: ვითომ ხავერდით მოგებულ ტახტზე ვიჯექი დიდი სოვდაგარივით მუხლებ-მოკეცილი და გრძელი ჩიბუხით თუთუნს ვეწეოდი; თავზე ურიცხვი შინაყმები მადგა... ფეხები დამბანეთ—მეთქი! უცებ რიხიანის ხმით ვბრძანე... ორმოც-დაათმა შინაყმამ იმ წამსვე ოქროს ტაშტით ფეხ საბანი წყალი მომართვა... სხვა არ მინდა, ჩემმა დედაკაცმა დამბანოს-მეთქი!.. გამოვიდა ჩემი დედაკაცი... შიშით თვალს ვერ მიმომართვა მოწიწებით მომართვა წყალი და დამიწყო ფეხის ბანა.

ათინა. (სიცილით სცემს) ღმერთი არ მოგასწრებს მაგ დღეს, შე საცოდავო შენა! თვითონ შენ უნდა დამბანო ფეხები...

კვირიკა. (განაგრძობს იმავე ხმით) რაღაც ფეხებს არ იმა დედაკაცის ხელები... განრისხებულმა თავში მაგრად ჩავკარი ჩიბუხი,—შე საძაგელო ფეხები კარგად დამბანე-მეთქი!.. ხე-ხე-ხე!.. (ყველანი იცინიან. სცენის გარედგან მოისმის ხმაურობა. გარსევანი და ფროსიკო შემორბიან).

ილ. პონტელი

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაუღიათ, და ამნაირად ხეხილთა ბაღების გაშენების საქმე თანდათან მიდის წინ, თუ სისწრაფით არა, კუს ნაბიჯით მაინც. ზემოდ დასახელებული ბაღი, ხილნარი და ვენახი თავ-თავის დროზე იწამლება ხოლმე ეს რამდენიმე წელიწადია და ამის მიხედვით სხვათაც, ზოგიერთ შეძლებულ თავად-აზნაურთაც შემოუღიათ ვენახების წამლობა. საზოგადოდ-კი აქ და სხვაგანაც ქართლში ვენახების წამლობას არ მისდევენ არა თუ გლეხები, არც თავად-აზნაურნი. ქართლი ამ მხრით იმერეთსაც და კახეთსაც გაცილებით ჩამორჩა.

სამწუხაროდ, გაზაფხულის ცივმა ტაროსებმა და მერე თითქმის ორი თვის გვალვამ ძალიან დააზარალა ვენახებიც და ხეხილის ბაღებიც. მლივს 27 და 29 მკათათვეს მოსულმა წვიმებმა ფერი უცვალა ყანისა და ხილს, მარცვალი დაუმსხვილა და ხალხს მოსავლის იმედი გაუღვიძა.

დადგა თუ არა აგვისტო, სოფელში გაჩნდა ავადმყოფობა: ციებ ცხელება, ფაღარათობა და მუცლის ტკივილი. ეს უკანასკნელი სენი უფრო ბავშვებს დაერია. საკვირველია, ცხინვალში, რომელიც ორს ნაბიჯზეა აქედგან, ექიმიც არის, ფერშალიც, აფთიაქიც, მაგრამ ქვემო-ნიქოზელები იმათ არ ეკარებიან. აქაური ხალხი ძალიან ჩამოქვეითებულია ჭკუა-გონებით, უმეცრებით არის დაუძრსული და ამიტომაც ხშირია ისეთი მოვლენა. მხოლოდ ეს ერთი წელიწადია, რაც აქ ყოვლად სამღვდელო კირიონის მეოხებით დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა და მასწავლებლად მოწვეულია ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურს-დასრულებული ქალიშვილი, რომელიც თავისს წმინდა საქმეს ბეჯითად და გულიანად ეკიდება. ამ ჟამად სკოლას შესაფერი შენობა არა აქვს და ყოვლად სამღვდელო ამ მხრივაც ზრუნავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი საკმაოდ შეძლებული გლეხკაცი და თავად-აზნაურები ნაკლებად ზრუნავენ ამ ნათელ და გამაკეთილშობილებელ ლამპრის წარმატებისათვის.

27 მკათათვეს, საღამოს ჟამზე, ქვემო-ნიქოზში მობრძანდა თვის ნათესავებში და თავის მშობელ სოფელში ყოვლად სამღვდელო კირიონი. მეორე დღიდგანვე, დილით, ქვემო-ნიქოზის და სხვა ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებამ დაიწყო დენა მღვდელ-მთავართან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ეპისკოპოსი ყველას სიყვარულით, თავაზიანად, მამაშვილურად ესაუბრებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებაზე და, განსაკუთრებით, სწავლა-განათლების შესახებ. მისი მეუფება 30 მკათათვეს წაბრძანდა ტფილისში.

ამ დღეებში აქ დიდი წვიმები იყო და ჭაერიც შესამჩნევად გაგრილდა.

ამ ჟამად სოფ. ფხვენისში მამულების გამმიჯვნელი კომისია მუშაობს და ადგილობრივ მემამულეთა შორის დიდი მოძრაობა და ფაცა-ფუცაა.

გულკეთილი

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ დაარსა ვაჭრობისა და მანიფაქტური სდეპარტამენტთან განსაკუთრებული საეგზამენაციო კომისია. ამ კომისიამ უნდა გამოსცადოს და მოწმობები მისცეს ხოლმე იმათ, ვისაც ჰსურს საერო სავაჭრო სკოლებში ბუჰალტერის ან სხვა სპეციალურ საგნების მასწავლებლობას მიჰყოს ხელი. საეგზამენაციო წესები უკვე დამტკიცებულ იქმნა და ამასთან ეგზამენების პროგრამმაც გამოიცა. კომისია პირველად ეგზამენებს ამა წლის სექტემბერს შეუდგება. ეგზამენები მოხდება ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტთან.

— საიმპერატორო აღმზრდელ სახლის უწყებას აზრადა აქვს დააარსოს ღამის სათევები ზოგიერთ სოფლებში მოსწავლეთათვის. ეს ღამის სათევები იმ მოსწავლეებისათვის იქმნება დაარსებული, რომელნიც სკოლიდგან მოშორებულ სოფლებში სცხოვრობენ, საიდგანაც ყოველ დღე სკოლაში სიარული მეტად ძნელია.

პეტერბურგში დაარსდა ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს გამართოს პეტერბურგში სამკურნალო ალკოგოლიკებისათვის.

— პეტერბურგში აზრადა აქვთ გამართონ ძველად დაბეჭდილ წიგნების გამოფენა. ამ გამოფენაზედ ზოგიერთი ისეთი წიგნი იქმნება, რომელიც დაბეჭდილია ამ რამდენისამე საუკუნის წინად. გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

— წელს მოსკოვის საინჟენერო სასწავლებელში თავისუფალი ვაკანსია 100-ია. თხოვნა ჯერ-ჯერობით 306 კაცმა შეიტანა. უეგზამენოდ მიღებულ იქმნა 9 კაცი, დანარჩენთ საკონკურსო ეგზამენები უნდა დაიჭირონ.

— „მოსკოვ. უწყების“ სიტყვით, უწმ. სინოდს წინადადება მიეცა ლაპარაკი აღძრას იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას სასულიერო სემინარიებში სავალდებულო საგნად სახალხო მკურნალობის სწავლება.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად მთავრობის მრავალ დაწესებულებაში წესად დადგენილ იქმნა, რომ წლის გასვლამდე მოსამსახურე კაცები არ იქმნან გადაყვანილნი ერთის თანამდებობიდგან მეორეზედ.

— ამ დღეებში პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზის სადგურს ვერჟბოლოვოში გამოსცადეს ბ-ნის ნიკოლაევის-მიერ რკინის გზაზედ მატარებელთა დამსხვრევის ასაცდენად გამოგონილი იარაღი. ამ აზრით მატარებელი განგებ გაატარეს ჯერ ისეთ გზაზედ, რომელზედაც შპალები ეყარა, შემდეგ ისეთს გზაზედ, რომელზედაც რელსები იყო მიყრილ-მოყრილი. ორსავე შემთხვევაში მატარებელი თვალის დახამხამებაზედ გაჩერდა სხვის დაუხმარებლად და ვაგონების დაუზიანებლად. ნიკოლაევის ამ გამოგონილს იარაღს მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ რუსეთის რკინის გზებზედ ძალიან ხშირია მატარებელთა დამსხვრევა. ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ მატარებელთა დამსხვრევა, რომელსაც ადამიანთა დაშავება მოჰყოლია, მომხდარა 1894 წ.—4,548-ჯერ, 1895 წ.—5,763-ჯერ და 1896 წ.—6,107-ჯერ.

— „როსიის“ სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ, შეიმუშავეთ გეგმები და პროექტები სტუდენტთა საზოგადო საცხოვრებლების შესახებაო. თვითოეული ასეთი ბინა თავდაპირველად დაიტევს 150 სტუდენტს. გეგმების წარდგენის ვადა დანიშნულია 1900 წლის 1-ლ იანვრამდე. ახალი საცხოვრებლები აგებულ იქმნება მოსკოვის სტუდენტთა საზოგადო საცხოვრებელთა მგზავსად; ეს საცხოვრებლები ფასიანი იქმნება და ყოველი ხარჯი უნდა დაიფაროს შემოსავლით.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოიტანა საფრანგეთის ორი აფიცრის—კლობბისა და მენიეს მოკვლის შესახებ შუაგულს აფრიკაში საფრანგეთისავე აფიცრების—ვულესა და შანუანის მიერ. ეხლა დაწვრილებითი ცნობებია გაზეთებში ამ მკვლელობის შესახებ. ეს მკვლელობა და საზოგადოდ საქმის მთელი გარემოება ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად შერყეულა დისციპლინა საფრანგეთის მხედრობაში. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რონ ამ ამბავმა დღეს ყველა სხვა დანარჩენი საქმე ერთბაშად ჩაჩრდილაო. მოკლულნი და მკვლელები პირველად ერთსა და იმავე ექსპედიციაში ყოფილან, რომელიც მთავრობის მიერ იყო გაგზავნილი შარშან გზის საპოვნელად საფრანგეთის სუდანსა და ჩადის ტბას შორის. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ მაშინ ვულე და შანუანი (სამხედრო მინისტრად ნამყოფის შვილი). ბამაკოში მისსია ორად გაეყოფილა: ერთი ნაწილი ვულეს უფროსობით მდ. ნიგერით წასულა სემდისინ, მეორე, შანუანის უფროსობით, ხმელეთით წასულა ნიგერის ხეობაზე და იმავე ადგილას (სეში) მისულა. მისსიის პირველს ნაწილს, რადგან სახიფათო ადგილები უნდა გაევლო, გაჰყოლია პოდპოლკოვნიკი კლობბი, მცირის მხედრთა რაზმით. როცა მისსიის ორივე ნაწილს თავი მოუყრია სეში, კლობბი უკანვე დაბრუნებულა ტიმბუქტუში. პორუჩიკს პეტოს, რომელიც ვულე-შანუანის ექსპედიციაში იყო, უცნობებია საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ერთის წევრისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს—მთავრობისათვის (იმ დროს დიუპუის სამინისტრო იყო), რომ ექსპედიციის უფროსები—ვულე და შანუანი მოგზაურობის დროს მხეცურად ექცევიან ადგილობრივ მცხოვრებთ. მაგალითებიც ბლომად არის მოყვანილი, თუ რა სისაძაგლე ჩაუდენიათ ხსენებულს აფიცრებს: მაგალითად, როცა ადარში მიდიოდნენ, მშვიდობიან სოფლებს თავს დასხმიან და თავიანთი ბარგის გადამტანლები ძალათ გამოუყვანიათ. როცა ერთი სოფლის მცხოვრებლები თავისი თავის დასაცველად იძულებულნი იყვნენ საფრანგეთის რაზმის ორი კაცი მოეკლათ, საფრანგეთის აფიცრებს ამის ნაცვლად რამდენიმე ქალი და ბავშვი დაუხოციათ. როცა ბარგის გადამტანელებს დაუპირებიათ სახლში წასვლა, იმათთვის ხელები მოუჭრიათ და ბევრიც სულ დაუხოციათ; ამ უკანასკნელთა თავები შუბებზედ ჩამოუცვამთ სხვების შესახედად, რომ გაფრთხილებულიყვნენ და სხ.

საფრანგეთის მთავრობას ბრძანება გაუგზავნია პოდპოლკოვნიკის კლობბისათვის—დაიჭირე ვულე და შანუანი და საფრანგეთში გამოგზავნე პასუხის საგებლადო. კლობბს ახალგაზდა ლეიტენანტი—მენიე გაუყოლიებია თან და მცირე რაზმით ვულესა და შანუანის ექსპედიციის შესახვედრად წასულა. 14 ივლისს ის დასწევია ექსპედიციას, მაგრამ ვულეს ახლოს არ მიუკარებია და თან კიდევაც დაჰმუქრებია, რომ უკან დაბრუნდი, თორემ მოგკლავო. კლობბი და მენიე არ შეშინებულან და წინ გადაუდგამთ ნაბიჯი; მაშინ ვულეს ბრძანება გაუცია თოფები ესროლეთო. ესლა, როგორც იუწყებიან, საფრანგეთის მთავრობას ბრძანება გაუცია ფუროლამისა და ჟანტილ-ბრეტონნეს ექსპედიციებისათვის, რომ გამოუდგნენ და დაიჭირონ ვულე და შანუანი, როგორც მეამბოხენი.

—

**გერმანია.** მომავალს შემოდგომაზე გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ინგლისში აპირებს წასვლას თავისი ბებიის—ინგლისის დედოფლის ვიქტორიას სანახავად. რასა თქმა უნდა, ამ მოგზაურობას პოლიტიკურს მნიშვნელობასაც აძლევენ. გაზეთ „Daily News“-ის ბერლინელ კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიაში ბევრნი უკმაყოფილებას აცხადებენ თურმე ამ მოგზაურობის შესახებ. რადგან გარეშე საქმეთა მინისტრად გრაფი ბიულოვია, ამ უკანასკნელს აბრალებენ თურმე იმპერატორის გარდაწყვეტილებას ინგლისში წასვლის შესახებ და საშინლადაც ჰკიცხავენ. დიდი მეგობრობა არაოდეს არ ჰქონიათ ერთმანეთთან, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მაინც ერთობ გულნატკენია გერმანია ინგლისისაგან. ეს გულნატკენობა გამოიწვია პატარა სამოას კუნძულებმა. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ თურმე გერმანიაში, რომ იმპერატორის მოგზაურობა ინგლისში იმის სამაგიერო პატივისცემა ხომ არ არის, რაც ინგლისელებმა საქმე წაგვიკიდეს სამოას არხიპელაგზეო. ხსენებული გაზეთების სიტყვით, ინგლისელებმა ბევრს გერმანიის ქვეშევრდომს აალებინეს ხელი სამოას კუნძულებზე, სამაგალითოდ დაამცირეს იქ გერმანიის უფლება, და ყოველივე ამის შემდეგ რა მოსაზრებით აპირებს იმპერატორი ინგლისში წასვლასო.

—

**სერბია.** დაბა ტაკოვოს მცხოვრებლებს განუზრახავთ პატარა სასახლის აგება და ალექსანდრე მეფისთვის საჩუქრად მირთმევა, 1815 წლის მოსაგონებლად, როცა მთავარმა მილოშმა ობრენოვიჩთა დინასტიის დამაარსებელმა, ბრძოლა ასტეხა ტაკოვოში ოსმალეთის წინააღმდეგ და სერბიის განთავისუფლების საქმეს საფუძველი ჩაუდო. სერბიის საერო განათლების და სასულიერო საქმეების მინისტრი—ჟორჟევიჩი ნიშიდგან ტაკოვოს წასულა ხსენებულ სასახლისათვის საძირკვლის ჩაყრის დროს დასასწრებლად.

— როგორც ამბობენ, ვლადან გეორგიევიჩს აზრად ჰქონია რამდენიმე კანონი წარუდგინოს სკუპშჩინას დასამტკიცებლად. სხვათა შორის მთავრობა მოითხოვს თურმე, რომ სასტიკი კანონები გამოიცეს იმათ წინააღმდეგ, ვინც მეფესა და მისს ოჯახის წევრთ შეურაცხებას მიაყენებს; აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებისათვის წინასწარ ცენზურის დაარსებაც სდომებია.

—

**ამერიკა.** გაზეთებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი გრძელი რკინის გზა გაჰყავთ ამერიკაში. ინჟინერებს ვაშინგტონის მთავრობისთვის რკინის გზის პროექტი წარუდგენიათ, რომელმაც პანამის ყელი უნდა გაიაროს და ჩრდილოეთი ამერიკა სამხრეთს შეუერთოს. ამ გზას ექმნება სიგრძე 17,000 კილომეტრი და მისი გაყვანა დაჯდება 875 მილიონი დოლლარი. ხსენებულ გზას თავი ექმნება ნიუიორკში და ბოლო ბუენოს აირესში; გზა და გზა გაივლის—მექსიკას, გვატემალას, კოსტრიკს, კოლუმბიას, ეკვადორს, პერუს, ბრაზილიას და არგენტინაზე.

—

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ამას წინად ასე ეგონათ, რომ ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ატეხილს უთანხმოებას ბოლო მოეღოო. მაგრამ რაც დღე მიდის, თანდათან უფრო რწმუნდებიან, რომ ინგლისს დამორჩილება უნდა ამ პატარა რესპუბლიკისა, რათა თავისი სამფლობელო სამხრეთ აფრიკაში ერთს წრეში მოათავსოს, რის გამო მათ შორის ომი უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მშვიდობიანად საქმის გათავება. ამ ჟამად ინგლისს ჰყოლია სამხრეთ აფრიკაში, რათა, თუ საჭიროება მოითხოვს, შეცრივ შესიოს ტრანსვაალს: 21 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 6 პოლკი ცხენოსანი ჯარი, 16 ბატარეა და 3 როტა საპიორებისა; სულ 32,000 კაცი, 128 ზარბაზანი და 3,600 ცხენი.

ტრანსვაალიც, რასა თქმა უნდა, თავისის მხრით ემზადება საბრძოლველად. თუ ომი ასტყდა, იმასთან ერთად იბრძოლებენ ინგლისის წინააღმდეგ ორანჟეს რესპუბლიკა და კაპშტადიც, რომელიც ინგლისის ახალშენს შეადგენს, მაგრამ უნდა მეტროპოლიას ჩამოეცალოს და სრული დამოუკიდებლობა მოიპოვოს. გარდა ამისა, ევროპაშიაც ბევრგან თანაუგრძნობენ ტრანსვაალს. მაგალითად, ამ დღეებში ჰოლანდიის ქალაქ დორტრეხტში მიტინგი მოხდა, რომელზედაც ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ იმ ორატორებს, რომელნიც ინგლისის საქციელს ჰკიცხავდნენ ტრანსვაალის საქმეში. კრებამ დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტს კრიუგერს და თავისი თანაგრძნობა განუცხადა. ასეთისავე მიტინგის მოხდენას აპირებენ თურმე ამსტერდამსა და გააში.

## დამაკვირდი

უზნეო და უზრდელი მეცნიერი უფრო უმეცარ არს, ვიდრე უმეცარი სოფლიერი.

ლასურიძე

* * *

არა არს წესი ჩვენ ქართველთა უკვე, რათა ვიხილოთ მტერი, ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმლად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი.

დავით ლაშასძე

* * *

არა ვეშურებოდეთ უკეთურებისათვის არამედ ვშურებოდეთ კეთილსა ყოველსა შინა ტკბილ ურთიერთას, მოწყალე, მყუდრო, მორჩილი, სავსენი წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთათა.

თეოდორე სტუდიელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს კორესპონდენტს ძალიან გულით უნდოდა თურმე გამოჩენილის ედისონის ნახვა და სხვა და სხვა ამბების გამოკითხვა. ედისონს ამ დროს არ ეცალა თურმე, ამიტომ რამდენჯერაც კორესპონდენტი მისულა, იმდენი უარი შემოუთვლია, ვერ მიგიღებო. მაგრამ ბოლოს, იმდენად მოუბეზრებია თავი, რომ ედისონი იძულებული გამხდარა მიეღო კორესპონდენტი.

— მოწყალეო ხელმწიფევ! — უთქვამს ედისონს, როდესაც კორესპონდენტი შესულა,—ხომ შემოგითვალეთ, რომ არა მცალიან და ვერ მიგიღებთ მეთქი?

— ბოდიშს ვიხდი თავხედობისათვის; მაგრამ ესეც მიიღეთ მხედველობაში, რომ ევ-

როპიდგან მოვედი, ეხლა უკანვე მივდივარ და ისე როგორ წავიდე, რომ ჩემ გაზეთს ახალი არაფერი მიუტანო შესანიშნავის ედისონის შესახებ.

— აბა მაშ ჩქარა ბრძანეთ, რა გინდათ ჩემგან?

— მხოლოდ ორი რამ მინდა გავიგო: რა იყო თქვენი პირველი გამოგონება და რა არის სულ უკანასკნელი?

— ყური დამიგდეთ, ემ საათში მოგახსენებთ. ერთხელ გაზეთში შემდეგი ამბავი წავიკითხე: წუხელ ბანკირი ბრასელეი გაჰქურდეს. ქურდებმა რკინის ყუთი გატეხეს და ფული ისე წაიღესო. იმ წუთშივე ბრასელეისაკენ გავემართე. ბრასელეის მოსამსახურემ მითხრა,

— ბანკირი ძალიან აღელვებულია და ვერ მიგიღებთ. წუხელ გაჰქურდესო.

— აი, სწორედ მაგ საქმის გამო მინდა მოველაპარაკო, ვუთხარი მე.

მოსამსახურე შევიდა და ცოტა ხანს უკან მეც დამიბარეს.

— რა გნებავთ?—დამიყვირა გაჯავრებულმა ბრასელეიმ.

— ბატონო ბრასელეი, თქვენ, მგონი, წუხელ გაგქურდეს?

— მერე? იქნებ იცით, ვინ არიან ქურდები?

— ქურდები არ ვიცი, მაგამ ისეთი მანქანა-კი მოვიგონე, რომელიც ფულის მოპარვას შეუძლებელად ჰყოფს. ეს მანქანა რომ გაიჩინოთ, მეორედ ასეთი ამბავი აღარ შეგემთხვევათ.

— მართლა!?. როგორ მომყიდით მაგ თქვენს მანქანას? სიამოვნებით მოგცემთ 10,000 დოლლარს.

— მაგ ფასად ვერ გავყიდი.

— მაშ რა გნებავთ?

— თქვენი ქალი მომეცით ცოლად.

— საძაგელი!.. მაგრამ კარგი,—მომიბრუნდა დაფიქრების შემდეგ,—მე ამერიკელი ვარ; მაგაზედაც არ დავიხევ უკან, თუ თქვენი მანქანა კარგი გამოდგა და ჩემი ქალიც თანახმა იქმნება.

— კარგი, დღეს მოვალ, მანქანას მოვიტან და თქვენს კასსას გაუკეთებ, როგორაც გსურთ, ისე გამოსცადეთ.

ასეც მოვიქეცი. როდესაც მანქანა კასსას გაუკეთე, ბრასელეის უთხარი:

— ეხლა შეგიძლიანთ ღამე მოხვიდეთ, გასაღებები მოიტანოთ და სცადოთ, გააღებთ თუ არა.

— მეორე დილას ხელ-ახლა მივედი ბანკირთან. ბრასელეი ავად იყო, ლოგინში იწვა, მარგამ მაინც მიმიღო.

— ბატონო ბრასელეი. წუხელ იყავით კასსასთან?—ვკითხე.

— დიაღ, ვიყავი.

— სახიფათო ხომ არაფერი შეგემთხვათ?

— როდესაც კასსასთან მივედი, რაღაცამ თავში ისე მაგრა მდრუზა, რომ თავს-რეტი დამესხა და გული შემიღონდა. ეხლა ლოგინში იმისაგანა ვწევარ.

— როგორა ჰფიქრობთ, გამოდგება თუ არა მანქანა?

— საუცხოვო რამ არის!..

— ჩემი პირველი გამოგონება ეს მანქანა იყო, დაამთავრა თურმე ედისონმა.

— მერე შეირთეთ ბრასელეის ქალი?—ჰკითხა კორესპონდენტმა.

— რასაკვირველია შევირთე!

— უკანასკნელი გამოგონება რაღაა?—ჰკითხა ხელ-ახლა კორესპონდენტმა.

— უკანასკნელი? უკანასკნელი აი სწორედ ეს ისტორიაა, რომელიც ეხლა გიამბეთ. Gdod by!..

* * *

პარიჟში ძალიან დიდი გასავალი ჰქონია თურმე ცხენისა, ჯორისა და ვირის ხორცს. როგორც საფრანგეთის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, პარიჟში 193 დუქანი ყოფილა, რომლებიც მხოლოდ ამ გვარის ხორცით ვაჭრობენ. 1898 წ. პარიჟში დაუკლავთ სულ 21,667 ცხენი, 52 ჯორი და 310 ვირი. პირველი ხარისხის ცხენის ხორცი ერთი გირვანქა 30—40 კაპ. ფასობს.

* * *

ერთი რუსული გაზეთი შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: „ირკუტსკში ამ ჟამად იმყოფება 14 წლის გლეხი გრიგოლ ალადოვი (ალადაშვილი?). 11 წლიდგან დაწყობილი, როდესაც ალადოვს დედა მოუკვდა, ოთხის წლის განმავლობაში ბავშვმა მთელი რუსეთი მოიარა. იყო პეტერბურგსა, კავკასიასა, საშუალო აზიასა, ყირიმსა, სტამბოლსა, იტალიასა, ეგვიპტეში, კუნძულ იავაზედ, კიახტაში, ამურზედ და ინდოეთში. ბავშვი მხოლოდ „სერიოზულ წიგნებს“ ჰკითხულობს: „რომანები მეჯავრებაო“,—ხშირად ამბობს ხოლმე. ამოტელა ქვეყნები ალადოვმა უგროშოდ მოიარა. ზოგან ფეხით დადიოდა, ზოგან რკინის გზით, ზოგან კიდევ გემით. აჩინსკიდგან კრასნოიარამდინ ბავშვმა ფეხით გაიარა. ალადოვს სასოფლო სკოლა აქვს გათავებული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დიდ მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს თავისს საზაფხულო სასახლეში მიულოცეს მათის ქორწინებიდგან ოცდა ხუთის წლის შესრულების გამო. მისალოცად ბძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, და სხვა წევრნი საიმპერატორო გვარეულობისა.

**პარიჟი.** უმაღლესის სასამართლოს მოწვევის დღე ჯერ არ დაუნიშნიათ, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ამ ცოტა ხანში მოიწვევენ. ხმა დადის, რომ სენატი მომავალ კვირის გასულს შეიკრიბებაო.

**კანნა.** გაჩხრიკეს ანტისემიტთა ახალგაზდობის პრეზიდენტის დიუბიუკის სახლი. წაიღეს ბევრი საბუთის ქაღალდები; როგორც ამბობენ, ეს ქაღალდები დიდ-მნიშვნელოვანია. ამ გ ჩხრეკას შეთქმულებასთან აქვს კავშირი.

**კაპ-გაიტი.** სანტ-იაგოში რევოლიუცია დაიწყო. მეამბოხეთ გენერალი პეტიპა დაამარცხეს.

**პარიჟი.** კომისარმა გაჩხრიკა „Eclair“-ის რედაქტორის სობატიეს სადგომი. გაჩხრიკეს აგრეთვე ამ გაზეთის თანამშრომლის მონტოგელის სადგომიც.

**პეტერბურგი.** „Прав. Вѣст.“-ი 8 აგვისტოს იუწყებოდა, რომ ასტრახანის გუბერნიის სოფელ კოლობოვკაში 21 კაცი გარდაიცვალა პნევმონიითაო. ამის შემდეგ ორი კაცი კიდევ გარდაიცვალა, ავად სამია. უკანასკნელ შვიდ დღეს ავად არავინ გამხდარა. დასახელებულის ავადმყოფობით ახლო-მახლო სოფლებში არავინ გამხდარა ავად.

17 აგვისტო

**რენნი.** კრება დაიწყო 6 საათსა და 35 წუთს. ხალხი ძალიან ბევრი იყო. გამოიხმეს ბიუროს უფროსად ნამყოფი. იმანა სთქვა, რომ არ შეიძლება ბიუროში დაკარგული საბუთის ქაღალდები დრეიფუსს დავაბრალოთო. რაც შეეხება იმ ქაღალდების დაკარგვას, რომელიც მთავარ-შტაბში იყოო, სამინისტრომ განაცხადა, შევიტყეთ, რომ ეს საქმე ჩაიდინა ერთმა კაცმაო; ის კაცი უფრო ესტერგაზი უნდა იყოს, ვიდრე დრეიფუსი. კორდიემ განაცხადა, რომ საბუთის ქაღალდები მაშინაც იკარგებოდა, როდესაც სამინისტროში სამსახურს თავი გავანებეო. პიკარის გამოძიების შემდეგ დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი სრულიად უდანაშაულოაო.

როჟე არ დასთანხმდა კორდიესა და ფრეიშტეტტერის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როდის დაიკარგა სამინისტროდგან საბუთის ქაღალდები. იმის სიტყვით, დრეიფუსის შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელო ქაღალდები დაიკარგა. საყურადღებო საბუთის ქაღალდები დრეიფუსის დაპატიმრებამდე დაიკარგაო.

გამოიხმეს ფრეისინე. ფრეისინემა სთქვა, რომ მაისის პირველ რიცხვებში ჩემთან მოვიდა ჟამონი. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა იმის შესახებ, თუ უცხო-ქვეყნელი გაზეთები როგორ მუშაობენ დრეიფუსის სასარგებლოდ. შემდეგ ფრეისინეს გადაუცია ჟამონისათვის იმ კაცების აზრი, რომელნიც ჟურნალ-გაზეთობის საქმეს კარგად იცნობენ. ეს აზრი შეეხებოდა უმთავრესად იმას კი არა, თუ გაზეთები რა ხარჯს სწევენ, არამედ იმას, თუ ამ ჟურნალ-გაზეთების სასარგებლოდ როგორი მოძრაობაა მთელ ქვეყანაზედ. მოწმემ დაუმატა, რომ ჟამონთან ლაპარაკის დროს ისიცა ვთქვი, რომ ვშიშობ ჯარის გაკიცხვამ დისციპლინა არ შეამციროს და უფროსებმა ჯარის-კაცების ნდობა არ დაჰკარგონო. მოწმემ აღელვებულის ხმით სთხოვა იმათ, ვინც მხედრობას ჰკიცხავს, თავი დაანებონ ამას, რადგან ამით საფრანგეთს არცხვენთ მეტოქეების თვალშიო. განჩინება პატივისცემით და ხმა ამოუღებლად უნდა იქმნას მიღებულიო. მოწმეს სურს, რომ ამ რიგად დადგეს ხანა შერიგებისა. (ხანგრძლივი მოძრაობაა). უპასუხა-რა სასამართლოს ერთს წევრს, ფრეისინემ სთქვა, რომ ჩემი როლი, როგორც სამხედრო მინისტრისა, იმაში მდგომარეობდა, ამესრულებინა მთავრობის დადგენილება, როცა საქმის გადასინჯვა უმაღლესის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი იყოვო. დემანჟის კითხვაზედ, ფრეისინემ გაიმეორა, როგორც პალატის წინაშე სთქვა, რომ მომეტებულ ნაწილად საქმის გამოაშკარავება დიდს არაფერს დააშავებსო; რაც შეეხება საშველს ჯარს, იარაღს და ასაფეთქებელ მასალას—ამათი გამოაშკარავება ძლიერ საშიშოაო. უპასუხა-რა ლაბორის, მოწმემ სთქვა, რომ არც ერთი ფაქტი არ ვიცი, რომელიც ნებას მაძლევდეს ვიფიქრო, რომ საზღვარგარეთის ფულებს რაიმე გავლენა ჰქონდეს 1894 წლის პროცესის გადასინჯვაზეო. თავმჯდომარემ უარი განაცხადა ეკითხნა მოწმისათვის, თუ რას ჰფიქრობს ის შერერ-კესტნერზე, ტრარიეზე, რანკზე და საკასაციო პალატის წევრებზე, რომელთაც ვითომც ქრთამი მიეღოთ. თავმჯდომარემ უსაყვედურა ლაბორის —მღელვარება გსურს შეიტანო კამათობაშიო.

გალიშემ, „Drapeau“-ს რედაქტორმა, სასამართლოს გარდასცა კორდიეს სიტყვები: „დრეიფუსი ზედ ბორდო-მოქმედების დროს დავიჭირეთო“. კორდიემ უპასუხა, რომ შემდეგ აზრი გამოვიცვალეო.

18 აგვისტო

**პარიჟი.** გამომძიებელმა დააპატიმრა დღეს „Petit-Journal“-ის რედაქტორად ნამყოფი ლისაჟუ, რომელმაც გაზეთ „Feclar“-ს ცნობები მისცა წერილისათვის. ეს წერილი დაიბეჭდა 1896 წელს. ამ წერილისათვის „Eeclar“ ი სამართალში იქმნა მიცემული.

საბატიე და მონმორგელი გამომძიებელმა დაიბარა. დაიბარა აგრეთვე ლისაჟუ და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ დააპატიმრა. იმის სადგომის გაჩხრეკამ უნაყოფოდ ჩაიარა. სამხედრო სასამართლოს მთავრობის კომისარმა ჩვენება ჩამოართვა დიუპატი-დე-კლამსა დაესწრო ჩვენების ჩამორთმევას დემანჟი.

**კანნი.** ანტისემიტთა ახალგაზდობის ლიგის პრეზიდენტი ლეფევრი დააპატიმრეს.

**ოპორტო.** დღეს ორი კაცი გახდა ავად შავის ჭირით.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კვალის“ ქუთაისელმა კორესპოდენტმა ტალახის სროლა დაიწყო ჩემკენ. „კვალის“ მე-32 №-ში აი რასა სწერს იგი ჩემს შესახებ: „ბ. მთავრიევს ოფიციალურად უარი გამოუცხადებია სენაკში ინსპექტორად გადასვლაზე. საქმე აი რაშია: ხმა დადის, ვითომც ყიფიანს ეთქვას მთავრიევისათვის, რო შარშან თუ სენაკის ჰაერსა და წყალს ასახელებდი იქ წაუსვლელობის მიზეზად, წელს, ხომ იცი, არავითარი გეოლოგიური ცვლილება არ მომხდარა სენაკში—იგივე მდებარეობაა, იგივე წყალია, იგივე ჰაერი, მაშ რად მიდიხარო? მთავრიევიც დაფიქრებულა, დაუნახავს, რომ აქ მართლა ულოღიკობაა და უარი განუცხადებია....“

როგორც სჩანს, კორესპოდენტს არ ესმის თავისი მოვალეობა. დარწმუნებული ვარ, ვინც მიცნობს, ის ადვილად მიხვდება, რომ კორესპოდენტის მიერ ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა. მაგრამ მე მაკვირვებს ქალბატონ რედაქტორის საქმე. ნუ თუ რასაც კორესპოდენტი მისწერს, ყველა უნდა გაზეთში მოაქციოს? ნუ თუ ასე ძნელია გაარჩიოს რედაქტორმა, სად თავდება სიმართლე და სად იწყება სიცრუე? რა საკადრისია და ან ვისთვის არის საჭირო, რომ გაზეთმა ბეჭდოს ყოველნაირი ქუჩაში გაგონილი ჭორი? მიაქციეთ ერთი ყურადღება, რანაირად იწყებს კორესპოდენტი: „ხმა დადის, ვითომც ყიფიანს ეთქვას მთავრიევისათვის“.... განა, ბ-ნო პირუთვნელო, სიმართლის მოყვარე კორესპოდენტო, რასაც ქუჩაში გაიგონებ, ყველა უნდა დაიჯერო, გაზეთში დასაბეჭდათ გაგზავნო და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანო? კალამი წმინდა იარაღია, იგი მარტო სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, ჩაგრულს ესარჩლებოდეს, სინათლეს ჰფენდეს საზოგადოებაში და კეთილშობილურ გრძნობებს უღვიძებდეს მკითხველებს და თუ ამას გადუდგა, მაშინ იგი ღირსებით მწყემსის ჩომბახზედ დაბლა სდგას. უმჯობესი იქნებოდა, ჯერ ეს ანბანური ჭეშმარიტება შეგეგნოთ და შემდეგ კალმისათვის მოგეკიდნათ ხელი, თორემ თქვენი ნასროლი ტალახი თქვენს საკუთარს თავს მოხვდება.

რა მიზეზებმა მაიძულა უარი მეთქვა სენაკში გადასვლაზედ, ამის შესახებ მე ჩემს მთავრობას უკვე მოვახსენე და თქვენ ამის მოსასმენად არ შეგაწუხებთ, ხოლო რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც ბ-ნ ყიფიანს, ეთქვას ჩემთვის: „სენაკში არ გადახვიდე, თორემ ულოღიკობა გამოვაო,“ ეს კი სრული სიცრუეა და ქუჩის ჭორი გაგიგონია, ბ-ნო კორესპოდენტო!

ი. მთავრიშვილი


# განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მააბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილა ში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—19) ნ. წერეთელი

## ქალაქ ტფილისის გამგეობა აუწყებს ყველას,

რომ 7 სექტემბერს ამა 1899 წელს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის იმ ბოძების იჯარით გასაცემად, რომლებზედაც განცხადებებს აკრავენ.

პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან 12 საათამდე.

(3—6—2)

## ქალაქ ტფილისის გამგეობა აცხადებს,

რომ 7 სექტემბერს ამა 1899 წელს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდზედ გავლის გადასახადის მოკრების იჯარით გასაცემად.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან 12 საათამდე.

(3—6—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—16)


Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.